პროლეტარეთნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

ტფილისი
საქართველოს ბიბლიოთეკა

1928 წ. აპრილის 20 № 4 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

27. დადგენილება № 8 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

28. დადგენილება № 9 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

29. დადგენილება № 10 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—იურიდიულ პირთა წესდებების გამოქვეყნების წესის შესახებ.

30. დადგენილება № 14 ც. ა. კ.—ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 30, 32 და 33 მუხ. შეცვლის შესახებ.

31. დადგენილება № 15 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის კოდექ. 101 მუხ. შეცვლისა და შევსებისა და ამავე კოდექსიდან 101[1] მუხ. და მისი შენიშვნების ამოშლის შესახებ.

32. დადგენილება № 16 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბაირაღის სარგებლობის წესის შესახებ.

33. დადგენილება № 17 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ.

34. დადგენილება № 18 ც. ა. კ.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

35. დადგენილება ს. კ. ს.—იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა, რომ 1928 წლის სამშენებლო სეზონში თავის დროზე იქნეს დაწყებული სამშენებლო მუშაობა და იგი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო მუშა-ხელით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

36. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის შესახებ.

37. დადგენილება ს. კ. ს.—ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ სახლის დავთარში.

38. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ-ში საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

27. დადგენილება № 8 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** სარჩელი ნავჭურჭელთა შეჯახებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ შეიძლება, მოსარჩელეს სურვილისამებრ, წარდგენილ იქნეს, როგორც მოპასუხის საცხოვრებელ ადგილას, ისე იმ ნავჭურჭლის სამყოფელ ადგილას, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა შეჯახებით გამოწვეული ზარალისათვის, ან და იმ პორტის მდებარეობის ადგილას, რომელზედაც აღნიშნული ნავჭურჭელია მიწერილი“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ.
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. დადგენილება № 9 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის ივლისის 27-ს დამტკიცებული სამხედრო დანაშაულთა ახალი დებულების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 50, მუხ. 504 და 505) სამოქმედოდ შემოღებისა და 1924 წლის ოქტომბრის 31-ის თარიღით გამოცემული სამხედრო დანაშაულთა დებულების (სსრკ კან. კრებ. 1924 წ. № 24, მუხ. 207) გაუქმების გამო—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის შესახებ მომქმედი დებულების (საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კან. კრებ. 1926 წ. მე-5 №-რი, მუხ. 114) მე-19 მუხლში, რომელიც ზოგიერთი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას სამხედრო დანაშაულთა დებულების თანახმად აწესებს, შეტანილ იქნეს ცვლილებანი ტექსტისა და დებულების მუხლების ნომენკლატურისა სამხედრო დანაშაულთა ახალი დებულების რედაქციის მიხედვით.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 მუხლის დასამატებლად დაწესებულ იქნეს პასუხისმგებლობა მილიციის მომუშავეთა მიერ საყარაულო ან საბადრაგო და აგრეთვე სამწყობრო სამსახურის წესების დარღვევისათვის თანახმად სამხედრო დანაშაულთა შესახებ 1927 წლის ივლისის 27-ს დამტკიცებული დებულების მე-15 და 16 მუხლისა.

3. აღნიშნულ ცვლილებათა მიხედვით მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის შესახებ 1926 წლის ოქტომბრის 25-ს დამტკიცებული დებულების მე-19 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 19. სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედობისათვის მილიციის მომუშავენი ექვემდებარებიან საერთო-სასამართლო დაწესებულებებს, ხოლო ზოგიერთი სახის ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში მიიცემიან სამხედრო დანაშაულთა დებულების თანახმად, მაგალითად: სამსახურის წესისამებრ მიცემული ბრძანების შეუსრულებლობისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-2 მუხლის თანახმად; იმ პირის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისათვის, რომელიც სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს,—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-3 მუხლის თანახმად; ამა თუ იმ პირის იძულებისათვის, რომ მან დაარღვიოს სამსახურით დაკისრებული მოვალეობა, როცა იგი ამ მოვალეობას ასრულებს,—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-4 მუხლის თანახმად; ხელქვეითის მიერ თავისი უფროსისა ან უფროსის მიერ თავისი ხელქვეითის შეურაცხყოფისათვის სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს—სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულთა დებულების მე-5 მუხლის თანახმად; თვითნებობით წასვლისათვის 6 დღე და ღამეზე მეტი ხნით—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 და მე-8 მუხლის თანახმად; სახმარებლად მიცემული სახაზინო იარაღისა, სასროლო მასალისა, ტანსაცმელისა და საჭურველის გაფლანგვისა, განზრახ გაფუჭებისა და დაკარგვისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-14 მუხლის თანახმად და საყარაულო ან საბადრაგო და აგრეთვე სამწყობრო სამსახურის წესების დარღვევისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-15 და მე-16 მუხლის თანახმად".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21.
ტფილისი—სასახლე.

---

29. დადგენილება № 10 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

იურიდიულ პირთა წესდებების გამოქვეყნების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული იურიდიულ პირთა ყველა წესდება: სააქციო საზოგადოებისა (საპაიო ამხანაგობისა), საკრედიტო დაწესებულებისა, ტრესტისა და სინდიკატისა, კოოპერატიული შენაერთისა და სხვ. რეგისტრაციის შემდეგ, აუცილებლად გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის" მეორე განყოფილებაში.

2. საზოგადოების ან შენაერთის დამფუძნებელნი, ან და დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელნი ვალდებულ არიან, მათი წესდების დამტკიცების შემდეგ, ხოლო რეგისტრაციაში გატარებამდე, წარუდგინონ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საგამომცემლო ნაწილს თავისი წესდების ოფიციალურად დამოწმებული ასლი და გამოქვეყნებისათვის დაწესებული სასყიდელი.

3. რეგისტრაციაში გამტარებელი ორგანო იურიდიული პირის წესდების რეგისტრაციის დროს ვალდებულია გამოარკვიოს—შესრულებულია თუ არა ამა დადგენილების მე-2 მუხ. მოთხოვნა და, არა უგვიანეს 7 დღისა, აცნობოს იუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიციის სახ. კომისარიატის საგამომცემლო ნაწილს ამა თუ იმ წესდების რეგისტრაციაში გატარება.

შენიშვნა. წესდების გამოქვეყნების სასყიდელს განსაზღვრავს იუსტიციის სახალხო კომისარი, ფინანსთა სახალხო კომისართან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახმრაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21.
ტფილისი—სასახლე.

---

30. დადგენილება № 14 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 30, 32 და 33 მუხ. შეცვლის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „კოოპერატიული ორგანიზაციების ლიკვიდაციისა, შეერთებისა და გაყოფის გამო ამ ორგანიზაციების გაუქმების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. ივნისის 15-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 37, მუხ. 371) დადგენილების თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სსსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 30, 32 და 33 მუხ. (საქართველოს სსრ კან. კრებ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 66) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 30. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები (კავშირები) წესდების რეგისტრაციაში გატარების დღიდან ჩაითვლებიან იურიდიულ პირებად და მათ შეუძლიანთ აწარმოონ ყველა ოპერაცია წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

უკეთუ ორგანიზაცია სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მის დამფუძნებელთ ეცნობათ წესდების დამტკიცება და რეგისტრაციაში გატარება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ, არ შეუდგება წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამას არ აცნობებს აღნიშნულ ორგანოებს, იგი ჩაითვლება არა შემდგარად და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების დადგენილებით ამოიშლება რეესტრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 32. ინვალიდთა არტელების (ამხანაგობის) და მათი კავშირის ლიკვიდაციისა, შეერთებისა და დაყოფის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული საერთო-საკავშირო კანონით (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 37, მუხ. 372) დებულება კოოპერატიული ორგანიზაციების გაუქმების წესისა მათი ლიკვიდაციისა, შეერთებისა და დაყოფის გამო.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, რაც აღნიშნულია „კოოპერატიული ორგანიზაციების ლიკვიდაციისა, შეერთებისა და გაყოფის გამო ამ ორგანიზაციების გაუქმების წესის დებულების" მე-2 მუხ. „გ" პუნქტში, არტელი (ამხანაგობა) გაუქმდება ინვალიდთა სამაზრო შენაერთის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სამაზრო აღმ. კომ-ტის მიერ, ხოლო ინვალიდთა ყველა საფეხურის შენაერთი კი — სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრ. კომ-ტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების დადგენილებით.

მუხ. 33. დადგენილება ლიკვიდაციის შესახებ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სათანადო ადგილობრივ ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში.

ინვალიდთა ორგანიზაციის ვალების დაფარვის დროს, სამოქ. სამ. კოდექსის 101 მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ, პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს: პირველი საფეხურის შენაერთების (არტელების) ვალების დაფარვის დროს — სესხი, რაც აღებულია ინვალიდთა არტელების შენაერთებისაგან და სრ. საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული ინვალიდთა შენაერთების სრულიად საქართველოს ცენტრისაგან; არტელების ვალის დაფარვის დროს — სესხი, რაც აღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებულ სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირისაგან; ხოლო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებულ სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირის ვალის დაფარვის დროს — სესხი, რაც აღებულია აღნიშნული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კო-
მისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21.
ტფილისი — სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. დადგენილება № 15 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექ. 101 მუხ. შეცვლისა და შევსებისა და ამავე კოდექსიდან 101[1] მუხ. და მისი შენიშვნების ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხ. შეივსოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 101. მოვალის დაგირავებული ქონებიდან, უკეთუ სხვა მისი ქონება საკმარისი არ იქნება წარდგენილ გადასახდელთა გასასტუმრებლად, უპირატეს მოგირავნის პრეტენზიებისა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ქვემოაღნიშნული კატეგორიების გადასახდელი:

პირველ რიგში—რკინის გზის ის მოთხოვნა, რაც რკინის გზის წესდების 68 მუხლიდან გამომდინარეობს;

მეორე რიგში—ის ვალი, რაც შესდგება მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასისა, სოციალური დაზღვევის გადასახადისა და ალიმენტებისაგან;

მესამე რიგში—დაგირავებულ ქონებაზე დადებული სააქციზო გადასახდელი, უკეთუ ეს ქონება იმ დროს არის დაგირავებული, როდესაც იგი წარმოების ადგილას, საბაზისო საწყობში ან საბაჟოში იყო;

მეოთხე რიგში—ის მოთხოვნა, რაც საკრედიტო-საკოოპერაციო ორგანიზაციებში შეტანილი ანაბარის უკან დაბრუნებას შეეხება;

მეხუთე რიგში—საკრედიტო დაწესებულებების მიერ საკრედიტო-საკოოპერაციო ორგანიზაციებისადმი მიმართული მოთხოვნა იმ სესხის გამო, რაც აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მიიღეს საკრედიტო დაწესებულებებიდან სოფლის მეურნეთა, შინამრეწველთა და ხელოსნებისათვის სესხად დასარიგებლად (იმ სესხის გარდა, რაც მიცემულია ძირითადი ან სპეციალური კაპიტალის შესავსებად).

მეექვსე რიგში—არსებული წესით მომქმედი საკრედიტო დაწესებულების ისეთი მოთხოვნა, რაც გირაოთია უზრუნველყოფილი.

მეშვიდე რიგში—ყოველგვარი, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენი, საურავი, ჯარიმა და გადახდევინებით გამოწვეული ხარჯი, რაც დაწესებულია გადასახადისა და გამოსაღების აკრეფის კანონით; აგრეთვე ისეთი სესხის ნარჩენი, რაც პირდაპირ საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან არის გაცემული, და ბანკების პრეტენზია ისეთი სესხის გამო, რაც უზრუნველყოფილია ფინანსთა სახკომისარიატის საგარანტიო წერილებით, სსრკ ცენტრ. აღმ. კომ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 21-ს დადგენილებაში აღნიშნული წესისამებრ (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. მე-6 №-რი, მუხ. 59).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. უკეთუ მოვალის ქონება საკმარისი არ არის ყველა იმ გადასახდელის სრული დაკმაყოფილებისათვის, რაც ამა მუხლისამებრ ერთ და იმავე რიგშია მოქცეული, ამ გადასახდელთა გასტუმრება უნდა მოხდეს პროპორციონალურად.

შენიშვნა 2. სააქციზო გადასახდელი, უპირატეს საკრედიტო დაწესებულების მოთხოვნისა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დაგირავებული ქონებიდან მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რაც აღნიშნულია სათანადო საფინანსო ორგანოსაგან საკრედიტო დაწესებულების მიერ მიღებულ ცნობაში იმის შესახებ, თუ რა სააქციზო გადასახდელი ედვა დაგირავებულ ქონებას დაგირავების დროს.

2. სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან ამოიშალოს 101[1] მუხლი ყველა შენიშვნებითურთ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომი-
სართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21.
ტფილისი—სასახლე.

---

32. დადგენილება № 16 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბაირაღის სარგებლობის წესის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბაირაღი აღიმართება:

ა) იმ შენობაზე, სადაც მოხდება სრულიად საქართველოს და ადგილობრივ საბჭოთა ყრილობა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის სხდომები, ბაირაღი აღმართულ უნდა იქნეს ყრილობის ან სესიის დაწყებიდან დამთავრებამდე;

ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე ყველა ადგილობრივი საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე—მუდმივ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დანარჩენ სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოთა შენობებზე (სახალხო კომისარიატისა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებისა და სხვ.); აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოთა და მათ შენაერთთა შენობებზე, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბაირაღი აღიმართება საერთო პროლეტარულ, საერთო საკავშირო, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ უქმე და საზეიმო დღეებში.

2. საერთო-პროლეტარულ და საერთო-საკავშირო უქმე და საზეიმო დღეებში ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს შენობაიე ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული შენობების გარდა, აგრეთვე პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შენობებზე აღიმართება წითელი (ალისფერი) ბაირაღი უწარწეროთ.

შენიშვნა. საერთო-საკავშირო დაწესებულებათა შენობებზე, რომლებიც მოხსენებულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აგვისტოს 29-ს დეკრეტის 1-მუხ. სსრკ ბაირაღებისა და ვიმპელების შესახებ (კან. კრ. 1925 წ. 27 №-რი, მუხ. 185), საერთო-პროლეტარულ და საერთო-საკავშირო უქმე და საზეიმო დღეებში აღიმართება სსრკ სახელმწიფო ბაირაღი.

3. 1-ლი და მე-2 მუხ. აღნიშნული მოვალეობა ბაირაღების გამოკიდვისა არ გავრცელდება კერძო პირსა, კერძო დაწესებულებასა და საწარმოს ან ორგანიზაციაზე.

4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალება, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ერთი თვის განმავლობაში გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს დაეკისრებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილებისა და მის შესაფარდებლად გამოცემული ინსტრუქციის შესრულებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. დადგენილება № 17 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. იანვრის 12-ს დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აპციაურ .**

1928 წ. მარტის 21.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი განაგებს საქართველოს სსრ სახელმწიფო მიწისა და ტყის ფონდებს, ანხორციელებს რა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ღონისძიებათ სასოფლო და სატყეო მეურნეობის დარგში ამ დარგების საწარმოო ძალთა სრული განვითარებისათვის სოციალისტური მშენებლობის საერთო გეგმასთან დაკავშირებით.

2. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მართვა-გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ყოველმხრივი შესწავლა სასოფლო და სატყეო მეურნეობისა;

ბ) აგრონომიულ ღონისძიებათა განხორციელება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის გასაძლიერებლად და მისი ნაყოფიერების განსავითარებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სოფლის მეურნეობისათვის ნივთიერი და საკრედიტო დახმარების გაწევა;

დ) სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ორგანიზაციების მოქმედების წარმართვა;

ე) საერთო ეკონომიური ხასიათის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება და მონაწილეობის მიღება საერთო-სახელმწიფოებრივი ეკონომიური პოლიტიკის საკითხების შემუშავებაში სასოფლო და სატყეო მეურნეობის ინტერესთა თვალსაზრისით;

ვ) საველტერინარო დახმარებისა და ეპიზოოტიებთან ბრძოლის ორგანიზაცია;

ზ) გამგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო მიწის ფონდისა და მიწათმოწყობისა საქართველოს სსრ მიწის კოდექსის საფუძველზე; დახმარება მიწის სარგებლობის რაციონალურ ფერმებისა და ღონისძიებათა განხორციელება მიწის ფონდის საუკეთესოდ გამოყენებისათვის;

თ) სახელმწიფო ადგილმამულის აღნუსხვა და მისი გეგმაშეწონილი ექსპლოატაცია;

ი) წყალთა მეურნეობის საკითხების შემუშავება სასოფლო და სატყეო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაფერი წყლის რეჟიმის დასამყარებლად;

კ) საქართველოს სსრ ტყის ფონდის გამგებლობა საქართველოს სსრ სატყეო კოდექსის თანახმად;

ლ) სახელმწიფო და შერეული ხასიათის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მოწყობა და მათი მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა;

მ) ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობების (სახალხო მამულების) გამგებლობა და სხვა საბჭოთა მეურნეობების მოქმედებისათვის თვალყურის დევნა;

ნ) თვალყურის დევნა და კონტროლის გაწევა ყველა იმ ორგანიზაციისა და დაწესებულების მოქმედებისათვის, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებას ანხორციელებს.

3. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივ საადგილ-მამულო ორგანოებს, რომელნიც მოქმედობენ სპეციალურ დებულებათა საფუძველზე.

II. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანიზაცია.

4. კომისარიატის სათავეში სდგას მიწათმოქმედების სახალხო კომისარი.

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ჰყავს მუდმივი მოადგილე.

6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებობს, სათათბირო ორგანოს სახით, კოლეგია, ხოლო უკანასკნელთან—კოლეგის სამდივნო და მიწათმოქმედების სახკომისარიატის საგეგმო კომისია (მიწგეგკომი), რომელნიც მოქმედებენ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებულ დებულებათა თანახმად.

7. მიწსახკომთან არსებობს აგრეთვე საადგილ-მამულო საბჭო, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი განიყოფება შემდეგ სამმართველოებად:

1) საადმინისტრაციო-საფინანსო;
2) სასოფლო-სამეურნეო;
3) მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ადგილმამულისა;
4) საველერინარო;
5) სატყეო.

9. სახალხო მამულები (ტრესტებად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობანი) გაერთიანებულია მიწსახკომთან არსებულ, სახელმწიფო ანგარიშზე მყოფ, სახალხო მამულების ტრესტში. რომელიც მოქმედებს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

III. საადმინისტრაციო-საფინანსო სამმართველო.

10. მიწათმოქმედების სახალხო-კომისარიატის საადმინისტრაციო-საფინანსო სამმართველო განაგებს მიწსახკომის ცენტრალური სამმართველოებისა და ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოების აპარატს საორგანიზაციო მხრით; იმუშავებს მიწსახკომის და ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოების სტრუქტურის საკითხებს; ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი ორგანოების მუშაობას საერთო-ადმინისტრატიული მხრით; განაგებს მიწსახკომისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და კრედიტების განაწილების საქმეს; განაგებს მიწსახკომის ანგარიშგების საქმეს—ადგენს საჯუმლო ანგარიშებს კომისარიატისა და ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოების მოქმედების შესახებ; აწყობს ყრილობებსა და კონფერენციებს; აწარმოებს ცენტრალური და ადგილობრივი საადგილ-მამულო აპარატების მომუშავეთა აღნუსხვას და თანამდებობიდან თანამდებობაზე გადაყვანას და დანიშვნას; განაგებს მიწსახკომის ცენტრალურ რეგისტრატურას, არქივს, გადამწერთა ბიუროს, ბიბლიოთეკას და სამნეო ნაწილს.

11. საადმინისტრაციო-საფინანსო სამმართველო განიყოფება ორ განყოფილებად:

ა) საერთო-საორგანიზაციო, საიურისკონსულტო ნაწილითურთ;
ბ) საფინანსო-სამნეო.

IV. სასოფლო-სამეურნეო სამმართველო.

12. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველო განაგებს და აწესრიგებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის საკითხებს, ხელმძღვანელობას უწევს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას სოფლის მეურნეობის დარგში, აგრონომიულ ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე აგრონომიულ პერსონალის კადრისა და მისი მუშაობის ორგანიზაციას; განახორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელებს საცდელ და საჩვენებელ ღონისძიებებს, ბრძოლას მცენარეთა დაავადებათ, რისთვისაც აარსებს სათანადო სადგურებსა და დაწესებულებებს, საჯიშე და სათესლე საშენებს; განაგებს სას.-სამ. კოოპერატივების დაარსება-მოწყობის საქმეს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა, მექანიზაციისა და მასალით და სესხით დახმარების საქმეს; მონაწილეობას იღებს სასოფლო-სამეურნეო განათლების გეგმების შემუშავებაში, ზრუნავს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის; იმუშავებს გეგმებს შინამრეწველობის განვითარებისათვის; იკვლევს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და იმუშავებს სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად საჭირო საერთო-ეკონომიურ ღონისძიებებს; აძლევს დასკვნებს მიწსახკომთან არსებულ სამეურნეო ორგანოების მიერ შედგენილ სამეურნეო გეგმების შესახებ და იმუშავებს დირექტივებს მათ სახელმძღვანელოდ.

13. სასოფლო-სამეურნეო სამმართველო შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან:

ა) აგრონომიულ ღონისძიებათა;

ბ) საცდელი;

გ) მემცენარეობისა;

დ) ზოოტეხნიკისა;

ე) ცხენთსაშენისა და მეცხენეობისა;

ვ) სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკისა და სტატისტიკისა.

შენიშვნა. სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს სას.-სამ. ეკონომიკისა და სტატისტიკის განყოფილება იმავე დროს მომსახურეობას უწევს მიწსახკომის საგეგმო კომისიას და ყველა სხვა სამმართველოს; ასრულებს მათ გამგეთა დავალებას. იგივე განყოფილება ინსტრუქტორობას უწევს სტატისტიკურ ანგარიშგების საქმეს სახალხო მამულთა ტრესტის სამმართველოში და ამ უკანასკნელის ქვემდებარე დაწესებულებებში.

14. სასოფლო-სამეურნეო სამმართველოსთან მოეწყობიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის საბჭოები, რომელნიც მოქმედებენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ დებულებათა თანახმად.

V. სავეტერინარო სამმართველო.

15. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველო განაგებს მოსახლეობისათვის სავეტერინარო დახმარების გაწევის საქმეს; იმუშავებს სავეტერინარო-სასანიტარო პუნქტებისა, სამკურნალოებისა, ამბულატორიებისა, საკარანტინო პუნქტებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების საერთო გეგმას; ანხორციელებს ეპიოზოოტიების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს; სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობას უწევს ყველა იმ საწარმოსა და დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს ოპერაციებს, რაც-კი საქონელსა და ხორცისა და მესაქონლეობის სხვა პროდუქტს შეეხება; მონაწილეობას იღებს სავეტერინარო განათლების და სავეტერინარო-საგანმანათლებლო მუშაობის გეგმების შედგენაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. სავეტერინარო სამმართველო შესდგება შემდეგ ნაწილებთაგან:

ა) სავეტერინარო-სასანიტარო.

ბ) საეპიზოოტიო.

17. სავეტერინარო სამმართველოსთან არსებობს სავეტერინარო საბჭო, რომელიც მოქმედებს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებული სპეციალური დებულების საფუძველზე.

VI. მიწათმოწყობისა და სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების სამმართველო.

18. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობისა და სახელმწიფო საადგილ-მამულო სამმართველო განაგებს საქართველოს სსრ მიწის ფონდს, ამ ფონდის აღნუსხვას, მიწათმოწყობას, გადასახლების ფონდსა და დაუსახლებელი ტერიტორიების გამოყენების საქმეს; განაგებს სახელმწიფო საადგილმამულო ქონებას; მონაწილეობას იღებს მიწათმოწყობისა და სამელიორაციო განათლების გეგმების შემუშავებაში.

19. მიწათმოწყობისა და სახელმწიფო საადგილ-მამულო სამმართველო შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან:

ა) მიწათმოწყობისა;

ბ) გადასახლებისა;

გ) სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებისა.

VII. სატყეო სამმართველო.

20. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო სამმართველო განაგებს საქართველოს სსრ სატყეო ფონდს და სატყეო მეურნეობას, აწესრიგებს ტყის მოწყობისა, ტყის გაშენებისა და ტყის დაცვის საქმეს, ტყის კულტურისა და ტყის მელიორაციის სამუშაოს; ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი სატყეო ორგანოების მუშაობას; განაგებს ტყის რაციონალურ ექსპლოატაციას; აწესრიგებს ნადირობის საქმეს; განაგებს ტყის არაპირდაპირი სარგებლობის საქმეს; მონაწილეობას იღებს სატყეო განათლების გეგმების შემუშავებაში და ხელს უწყობს ტყის ცოდნის გავრცელებას.

21. სატყეო სამმართველო შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან:

ა) ტყის დაცვისა.

ბ) ტყის მოწყობისა;

გ) ტყის კულტურისა.

დ) ტყის ექსპლოატაციისა.

22. სატყეო სამმართველოსთან არსებობს სატყეო საბჭო, რომელიც მოქმედებს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებული სპეციალური დებულების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. დადგენილება № 18 ც. ა. კ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის 1928 წ. იანვრის 29-ის დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1928 წ. მაისის 1-დან მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ.

2. 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე აღძრულ საქმეებს ეს კოდექსი შეეფარდება შემდეგი წესით:

ა) საქმეებს ისეთი ქმედობის შესახებ, რაც ახალი კოდექსით დანაშაულად არ ჩაითვლება, უკეთუ ეს საქმე ჯერ წინასწარი გამოძიების ან მოკვლევის სტადიაშია,—მოსპობს პროკურატურა თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222 მუხლისა;

ბ) საქმეს ამგვარივე ქმედობის შესახებ, უკეთუ იგი უკვე სასამართლოშია შესული, სასამართლო მოსპობს გამწესრიგებელ სხდომაზე;

გ) საქმეს ამგვარივე ქმედობის შესახებ, უკეთუ იგი განხილულია პირველ ინსტანციაში, მოსპობს საკასაციო ინსტანცია გამწესრიგებელ სხდომაზე;

დ) საქმეს ამგვარივე ქმედობის შესახებ, უკეთუ განაჩენი უკვე კანონიერ ძალაშია შესული, სასამართლო გადასინჯავს გამწესრიგებელ სხდომაზე, სისხლ. სამართლის საპროცესო კოდექსის 457 მუხ. მიხედვით, და დაადგენს მსჯავრდადებული განთავისუფლებულ იქნეს განაჩენით გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდისაგან;

ე) ისეთი ქმედობის საქმეზე, რაც თუმცა 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულათ ჩაითვლება, ხოლო მსჯავრდადებულისათვის ძველი სისხლის სამართლის კოდექსით შეფარდებული სოციალური დაცვის ღონისძიება აღემატება იმ უმაღლეს საზღვარს, რაც ამ დანაშაულისათვის ახალი კოდექსით არის დაწესებული, ან ძველი კოდექსით შეფარდებული სოციალური დაცვის ღონისძიება უფრო მძიმეა, ვიდრე ამ დანაშაულისათვის ახალი კოდექსით დაწესებული სოციალური დაცვის ღონისძიება,—განაჩენით გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების ვადის სათანადოდ დაწევა ახალი კოდექსით უწყებული დანაშაულისათვის დაწესებულ უმაღლეს საზღვრამდე ან ამ ღონისძიების შეცვლა ნაკლებად მძიმე ღონისძიებად მოხდება საკასაციო ინსტანციის დადგენილებით იმ შემთხვევაში, უკეთუ განაჩენი კანონიერ ძალაში არ არის შესული, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სხვა შემთხვევაში—სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 457 მუხლისამებრ.

3. ისეთ საქმეებს, რომელთა გამო ბრალდებული ან მსჯავრდადებული დაპატიმრებულია, 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი ამა დადგენილების მე-2 მუხ. წესით შეფარდებულ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან აღნიშნული კოდექსის ოფიციალური ტექსტის ადგილზე მიღებისა.

II

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. ნოემბრის 9-ის თარიღისა და მე-17 №-ის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, ყველა ცვლილებით და დამატებით, გაუქმებულ იქნეს ამა დადგენილების I-ლი კარის 1-ლ მუხლში აღნიშნული დღიდან.

III

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოაქვეყნონ ამა დადგენილების I-ლი კარის 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადისათვის იმ საკანონმდებლო აქტების სია, რომელთაც ძალა ეკარგებათ საქართველოს სსრ 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. მარტის 26.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

35. დადგენილება ს. კ. ს.

იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა, რომ 1928 წლის სამშენებლო სეზონში თავის დროზე იქნეს დაწყებული სამშენებლო მუშაობა და იგი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო მუშა-ხელით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. თებერვლის 23-ს თარიღისა და მე-12 №-რის დადგენილების მე-3 მუხ. აღსასრულებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატსა, დაწესებულებასა, საწარმოსა, ორგანიზაციასა და კოოპერატიულ შენაერთს, რომელიც-კი 1928 წლის სეზონში სამშენებლო მუშაობას აპირებს, სასწრაფოდ შეიმუშაოს მშენებლობის საკალენდრო გეგმა, გამოარკვიოს რა საშენი მასალა და მუშა-ხელია მისთვის საჭირო და არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 1-სა აცნობოს ა/კსფსრ ეაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს რა საშენი მასალაა მისთვის საჭირო, ხოლო შრომის სახალხო კომისარიატს—რა მუშა-ხელია საჭირო. ეს ცნობები უნდა გაიგზავნოს იმ ფორმით, რასაც დაადგენენ ვაჭრობისა და შრომის სახალხო კომისარიატები.

2. დაევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და შრომის სახალხო კომისარიატს თავის დროზე შეჯუმლონ ცალკე უწყებათა ცნობები და საქართველოს სსრ საჭიროებათა გამორკვევის შემდეგ განსაზღვრონ:

ა) **ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით:** რა ადგილობრივი საშენი მასალა მოიპოვება, რაოდენი და რა ასორტიმენტის მასალა შემოიზიდება საიმპორტო გეგმით, სადეფიციტო მასალების ნუსხა და რაოდენობა და საშენი მასალის ბაზრის მოწესრიგებისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი;

ბ) **შრომის სახალხო კომისარიატის ხაზით:** რა კვალიფიკაციური მუშა-ხელი მოიპოება საქართველოში, რა მუშა-ხელი დააკლდება მშენებლობას გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნილებასთან შედარებით და რა კონკრეტიული ღონისძიებანი უნდა იქნეს მიღებული მშენებელ მუშათა შრომის ბაზრის მოსაწესრიგებლად.

3. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შეკრეფილი და შემუშავებული ცნობები და აგრეთვე მათივე მოსაზრებანი მასალებისა და მუშა-ხელის ბაზრების მოწესრიგების შესახებ უნდა გადაეცეს არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 1-სა საქართველოს სსრ ეკონომიურ თათბირის სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებულ კომისიას ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (საქართველოს სსრ-ში) და შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა შედგენილობით. აღნიშნული ცნობები, გეგმების შეთანხმებისა და კონკრეტულ ღონისძიებების გამორკვევის შემდეგ, წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ეკონომიურ თათბირში არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 10-სა.

4. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატსა, დაწესებულებასა, საწარმოსა, ორგანიზაციასა და კოოპერატიულ შენაერთს, რომელიც კი საქართველოს სსრ-ში მშენებლობას აწარმოებს, წარუდგინოს, არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 15-სა, საქართველოს სსრ ეკონომიური თათბირის სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მეშვეობით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 17.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 64 №-ში 1928 წ. მარტის 18.

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

36. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-კის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ-კის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 23.
ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სსრ-კის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის შესახებ.

1. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო სახანძრო კომისია სათათბირო ორგანოა ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გაერთიანებისა და შეთანხმების საკითხების და აგრეთვე ყველა ისეთი საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც საქართველოს სსრ-ში ხანძრისაგან დაცვის საქმეს შეეხება.

2. საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის კომპეტენციაში შედის—განიხილოს და შეათანხმოს:

ა) საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმა ხანძართა ბრძოლისათვის;

ბ) სახანძრო კანონთა პროექტები და აგრეთვე პრინციპიალური ხასიათის განკარგულებანი;

გ) ადგილობრივი და უცხოეთის სახანძრო ინვენტარის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა, უწყებათა განცხადებების მიხედვით;

დ) სახანძრო-სატეხნიკო განათლების გეგმა, აგრეთვე სახანძრო სკოლებისა, კურსებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლის პროგრამები და დებულებები;

ე) საერთოდ სახანძრო საქმისა და კერძოდ ცალკე უწყებების მომუშავეთა ყრილობების დებულებები და პროგრამები;

ვ) სახანძრო დაცვის სფეროში ცალკე უწყებათა მუშაობის ანგარიშები;

ზ) როგორც ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე სახანძრო ორგანიზაციებისა და ხანძრისაგან დაცვის საქმეში დაშავებულ მომუშავეთა დახმარები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივ ძალთა და სახსართა ორგანიზაციის საკითხები;

თ) სახანძრო საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი, რაც კი განსახილველად კომისიაში იქნება შეტანილი.

3. საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიაში შედიან: შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა, ჯანმრთელობისა, განათლებისა და შრომის სახალხო კომისარიატებისა, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსი, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კონტორისა კომუნალური მეურნეობის მომუშავეთა კავშირის ცენტრალური სამმართველოსი და ტფილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლები, რომელთაც უწყებანი პერსონალურად დანიშნავენ.

4. უკეთუ საუწყებათაშორისო სახანძრო კომისია იხილავს სხვა ისეთი უწყების ან დაწესებულების კომპეტენციის საკითხს, რომელიც ამ კომისიაში არ შედის, საკითხის განხილვაზე აუცილებლად უნდა მიწვეულ იქნეს აღნიშნული უწყების თუ დაწესებულების წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

5. საუწყებათაშორისო კომისიაში შეიძლება მიწვეულ იქნენ სახანძრო საქმისა და მეცნიერების სპეციალისტები, მცოდნე პირნი და სხვა უწყების წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით.

6. საუწყებათაშორისო სახანძრო კომისიის თავმჯდომარედ არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

7. კომისიის დადგენილება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ, განხორციელებულ იქნება არსებული წესით.

8. უკეთუ რომელიმე უწყების წარმომადგენელი არ დაეთანხმა კომისიას ამა თუ იმ საკითხის გადაწყეტაში, მას უფლება აქვს არა უგვიანეს სამი დღისა კომისიის დადგენილების გამოტანის დღიდან, წარადგინოს წერილობით თავისი განსაკუთრებული აზრი, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო უწყების ხელმძღვანელის მიერ.

9. კომისიის შინა-განრიგების წესები განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციით.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი-ს“ 76 №-ში 1928 წ. აპრილის 1.

---

37. დადგენილება ს. კ. ს.

ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ სახლის დავთარში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ვინაობის მოწმობის შესახებ“ 1927 წ. დეკემბრის 29-ს გამოცემული (კან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებ. № 12 მუხ. 176) დადგენილების დასამატებლად და განსავითარებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი მოქალაქე, რომელიც მივა ქალაქში ან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას საცხოვრებლად, თუნდაც დროებით, ხოლო სამ დღეზე მეტი ხნით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს თავისი მისვლა სახლის სამოურაოს (სახლის პატრონს ან მოიჯარადრეს), სასტუმროს ან საცხოვრებლად მოწყობილი ოთახების პატრონს.

2. სახლის სამოურაო, სახლის პატრონი ან მოიჯარადრე ვალდებულია 72 საათის განმავლობაში შეიტანოს ცნობა მისული პირის შესახებ სახლის დავთარში და ჩანაწერი გაატაროს სათანადო სამილიციო სამმართველოს (რაიონის ან მაზრის) რეგისტრაციაში.

შენიშვნა. ამა მუხლის მოთხოვნა სასტუმროსა და საცხოვრებლად მოწყობილი ოთახების ადმინისტრაციამ უნდა შეასრულოს 12 საათის განმავლობაში, უკეთუ მდგმური საცხოვრებლად რჩება არა ნაკლებ 24-საათისა.

3. სახლის დავთარში ჩასაწერად საკმარისია ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: ა) ვინაობის მოწმობა, რაც მოქალაქეს მიღებული აქვს თანახმად სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 29 დადგენილებისა „ვინაობის მოწმობების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-რი, მუხ. 176); ბ) სააქტო (ან ძველი სამეტრიკო) ამონაწერი დაბადების ან ქორწინების შესახებ; გ) საანგარიშო წიგნაკი ან სხვა მოწმობა სამუშაოს ან სამსახურის ადგილისა; დ) პროფესიონალური კავშირის საწევრო წიგნაკი; ე) დოკუმენტი სასწავლებელში მოწაფედ ყოფნისა ან კურსის დამთავრების შესახებ; ვ) ვინაობის უვადო წიგნაკი, რაც გაცემულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 83 №-რის დადგენილების თანახმად.

4. უკეთუ მისულ პირს არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ ექნება, იგი შეიძლება დროებით, ხოლო არა უმეტეს სამი თვისა, ჩაიწეროს სახლის დავთარში მისივე წერილობითი განცხადების მიხედვით, რაც ყველა საჭირო ცნობას უნდა შეიცავდეს.

შენიშვნა. მისული პირი ვალდებულია სამი თვის განმავლობაში წარადგინოს ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი დოკუმენტი.

5. სახლის სამოურაო ვალდებულია მოსთხოვოს მისულ სამხედრო-ვალდებულ პირს, სათანადო დოკუმენტის გარდა, პირადი წიგნაკი და სხვა დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა მისი დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან, „სამხედრო-ვალდებულთა აღრიცხვისათვის გამოცემულ სახელმძღვანელოს“ თანახმად.

6. სახლის დავთარში უცხოელი მოქალაქის ჩასაწერად საკმარისია უცხოელთათვის დაწესებული საცხოვრებელი მოწმობის წარდგენა.

7. სახლის სამოურაო ვალდებულია მოქალაქის საცხოვრებელი ადგილიდან წასვლა 2 დღის განმავლობაში სათანადოდ აღნიშნოს სახლის დავთარში და გაატაროს მილიციის სათანადო სამმართველოს (მაზრის ან რაიონის) რეგისტრაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სახლის დავთარში ჩასაწერად სხვისი დოკუმენტის წარდგენა, ყალბი დოკუმენტის გაკეთება, აგრეთვე ტყუილი ცნობის შეტანა წერილობით განცხადებაში (მუხ. 4) გამოიწვევს სისხლ. სამ. კოდ. 92 (1922 წ. რედაქციით) და 228 (1925 წ. რედაქციით) მუხ. გათვალისწინებულ სოცუალური დაცვის ღონისძიებას.

9. სახლის პატრონსა, მოიჯარადრესა და სახლის სამოურაოს პასუხისმგებელ პირს ამა დადგენილებით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დაედება ადმინისტრატიული წესით ფულადი გადასახდელი არა უმეტეს 25 მანეთისა.

10. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ორი კვირის განმავლობაში ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

11. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, გაავრცელონ ეს დადგენილება, „საბინაო დავთარში მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ", ამა თუ იმ დიდ სოფელზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 23.
ტფილისი—სასახლე.

---

38. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ში საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ღონისძიებათა გეგმაშეწონილად და წარმატებით განხორციელებისათვის, რასაც ამ საქმეში უაღრესი მნიშვნელობა აქვს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს სიმონ პილატესძე ჯუღელს - გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი მიმდინარე წელს საქართველოს სსრ-ში საგაზაფხულო თესვის კამპანიას, რისთვისაც იგი დაინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური თათბირის რწმუნებულად 1928 წ. საანეულო კამპანიის განხორციელებისათვის.

2. ამ დავალების წარმარტებით შესრულებისათვის ამხ. ჯუღელს უფლება მიეცეს:

ა) მოსთხოვოს საქართველოს სსრ ყველა ორგანოს, როგორც რესპუბლიკანურს, ისე ადგილობრივს ცნობების წარდგენა საანეულო კამპანიისათვის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულ ღონისძიებათა და ამ კამპანიის მსვლელობის შესახებ;

ბ) წინადადება მისცეს ყველა დაწესებულებასა, საწარმოსა, ორგანიზაციასა და თანამდებობის პირს—ააცილონ სასწრაფო წესით საანეულო კამპანიისათვის მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს ყოველგვარი ნაკლი და დაბრკოლება, და აგრეთვე მოითხოვოს ასეთ დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლისა და დისციპლინარული წესით;

გ) მოაწყოს, უკეთუ საჭირო იქნება, საანეულო კამპანიისათვის მიღებულ ღონისძიებათა გამოკვლევა, რისთვისაც გამოიყენებს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატისა და დაწესებულების აპარატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოად. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 26.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 699. ტირაჟი 1.250.